# რას ფიქრობენ ის ადამიანები, რომლებიც ლოცვის დროს თვალებს ზეცისკენ აღაპყრობენ?!» – თქვა მან მკაცრი ტონით, ხოლო შემდეგ დაამატა: «მათ უნდა შეწყვიტონ ეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი უეჭველად დაკარგავენ ხედვას!

ანას იბნ მალიქის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემით, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «რას ფიქრობენ ის ადამიანები, რომლებიც ლოცვის დროს თვალებს ზეცისკენ აღაპყრობენ?!» – თქვა მან მკაცრი ტონით, ხოლო შემდეგ დაამატა: «მათ უნდა შეწყვიტონ ეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი უეჭველად დაკარგავენ ხედვას!»
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა ისინი, რომლებიც ლოცვის დროს მზერას მიაპყრობენ ზეცისკენ, ვედრების დროს ან სხვა. შემდეგ მან კიდევ უფრო გაამკაცრა გაფრთხილება და მკაცრად შეაგონა, რომ ასეთ ქმედებას შეიძლება მხედველობის დაკარგვა მოჰყვეს. ის გამოხატავდა შიშს, რომ მათ თვალთახედვა შეიძლება მოულოდნელად წაერთვათ ისე, რომ ვერც კი შენიშნონ, როგორ დაკარგეს ეს ალლაჰის ნი'მა (წყალობა) – მხედველობის უნარი.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/10883